სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/42

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025

შეღავათით მოსარგებლე მოიჯარე ორგანიზაციების დავალიანებისა და საშეღავათო თანხების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2025 წლის 28 ივლისის №0000920686 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსგან თანხმობის მიღების შემდეგ, მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის №507 დადგენილების შესაბამისად, რომელიც ეხება „საგანგებო მდგომარეობასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ ეპიდემიასთან ან პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლეთა მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს“, 2020 წლის 21 მარტიდან 2020-2021 სასწავლო წლის დასრულებამდე პერიოდის სარგებლობის საფასურისაგან ან/და ამავე პერიოდის სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისათვის დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან, გათავისუფლდნენ ქვემოთ ჩამოთვლილი მოიჯარე ორგანიზაციები:

ა) შპს „ვილა ძარა“ 475 კვ/მ – 309 242,83 ლარი;

ბ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 717,56 კვ/მ – 428 631,66 ლარი;

გ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 538,6 კვ/მ – 189 548,33 ლარი;

დ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 364,2 კვ/მ – 28 942,75 ლარი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**